



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზალდასტანიშვილი გივი სოლომონის ძე



ზალდასტანიშვილი გივი სოლომონის ძე (1. XI. 1919, თბილისი, - 12. X. 2007, იქვე), ბიზნესმენი. 1925 ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა პარიზში. 1944 დაამთავრა სორბონის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. 1942-46 იყო ქართვ. ახალგაზრდების ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი პარიზში. საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში, სადაც 1948 დაამთავრა ჰარვარდის ბიზნეს სკოლა. 1951 მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. 1954 მიიღო აშშ-ის მოქალაქეობა. მონაწილეობდა „ამერიკის ხმის“ ქართ. რედაქციის დაარსებაში. 1951-65 რედაქტორობდა ქართ. პერიოდულ გამოცემას „თავისუფალი საქართველოს ხმა“ (ინგლ. ენაზე, „Voice of Free Georgia“), 1966-95 იყო აშშ-ის „ქართველთა საზოგადოების“ პრეზიდენტი და შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი. 1970-90 რედაქტორობდა პარიზში გამომავალ ქართ. ჟურნ. „ივერიას“. ჟურნალი ფარულად ვრცელდებოდა საქართველოში. იყო ნიუ-იორკისა და ბოსტონის ჰარვარდის კლუბების წევრი, ჰარვარდის უნ-ტის მმართველობის წევრი. 1976-იდან ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ საინჟ.-საკონსულტაციო ფირმას „Zaldastani Associates“-ს. 1980-იდან იყო ბოსტონში მარკეტინგული ფირმის „Zaldastani Consulting“-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. 8. 1987 წ. 16 სექტემბერს პირველად ჩამოვიდა სამშობლოში. იყო თბილ. ბიზნეს სკოლის დამსწრები პროფესორი, სადაც ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროგრამა „ქეისის“ მეთოდით მიჰყავდა კურსები: 1991 - მარკეტინგში, 1992 - მენარმეობაში, 1993 - მენეჯმენტსა და ლიდერობაში, 1994 - ფინანს. მართვაში. 1993-იდან იყო სტუ-ის დამსწრები პროფესორი. 1997 ო. ზალდასტანიშვილთან ერთად მიენიჭა საქართვე. საპატიო მოქალაქეობა. საქართველოდან 1921 გატანილი ეროვნ. არქივის მოვლისა და საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის. 2001

საქართველოში დააარსა ამერიკული სკოლა – ამერიკული აკადემია. 2004 ზ. საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და უკანასკნელი წლები სამშობლოში გაატარა.

ლიტ.: გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი აკ., გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., უტეხი სული, 2006.
